საიდ. N 86512/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №73-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „აიპლუსი“-ს N73-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 04 აპრილის N743/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „iTechnic აიტექნიკი“ (საიდ. N86512/03) დარეგისტრირდა შპს „აიტექნიკი“-ს სახელზე 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, დაინტერესებული მხარის შესაგებელი, ექსპერტიზის მასალები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „აიპლუსი“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 04 აპრილის N743/03 ბრძანების საფუძველზე, უკანონოდ დარეგისტრირდა შპს „აიტექნიკი“-ს სახელზე სასაქონლო ნიშანი „iTechnic აიტექნიკი“ (საიდ. N86512/03), ვინაიდან შპს „აიპლუს“-ს უფრო ადრე ჰქონდა წარდგენილი განაცხადი სასაქონლო ნიშნის „iTechnic აიტექნიკი“ რეგისტრაციის მოთხოვნით, შესაბამისად არსებობდა უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადი. აპელანტის მითითებით, საქპატენტის 2016 წლის 25 მარტის წერილით დადგენილია, რომ სასაქონლო ნიშანი „iTechnic აიტექნიკი“ საქპატენტში არ იყო რეგისტრირებული და არც განსახილველად მიღებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 04 აპრილის N743/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „iTechnic აიტექნიკი“ (საიდ. N86512/03) დარეგისტრირდა შპს „აიტექნიკი“-ს სახელზე 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

დაინტერესებული მხარე შპს „აიტექნიკი“ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაინტერესებული მხარის განმარტებით, გაუგებარია, თუ რა სამართლებრივი ან მორალური საფუძვლით ითხოვს აპელანტი კომპანია რეგისტრირებული ნიშნის გაუქმებას. შპს „აიტექნიკი“ 5 წელია ოპერირებს ბაზარზე და საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობს. წარმატებული საქმიანობისა და კონკურენტების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებების და განზრახვების გათვალისწინებით კომპანია აიტექნიკმა გადაწყვიტა 2016 წლის 9 მარტს დაჩქარებული წესით მისი 5 წლის განმავლობაში არსებული სახელი დაერეგისტრირებინა სასაქონლო ნიშნად საქპატენტში. დაინტერესებული მხარის განმარტებით, სადავო სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა მართლზომიერად, ვინაიდან ჰქონდა უფრო ადრინდელი პრიორიტეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარე ითხოვს არ დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი და ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 04 აპრილის N743/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის „iTechnic აიტექნიკი“ (საიდ. N86512/03) დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №165-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება განაცხადის შეტანის თარიღით, თუ განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასური გადაიხდება განაცხადის შეტანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „iTechnic აიტექნიკი“ (საიდ. N86512/03) კანონის მოთხოვნათა სრული დაცვითაა რეგისტრირებული. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის „iTechnic აიტექნიკი“ (საიდ. N86512/03) რეგისტრაციაზე განაცხადი საქპატენტში წარდგენილია უფრო ადრე, ვიდრე აპელანტის კუთვნილი ნიშნის რეგისტრაციაზე. კერძოდ, საქპატენტში სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით განაცხადი წარდგენილია 2016 წლის 09 მარტს და დაუდგინდა პრიორიტეტის თარიღი 2016 წლის 09 მარტი. აპელანტი კომპანიის ნიშნის „აიტექნიკი iTechnic аитехник“ (საიდ. N86851/03) განაცხადი საქპატენტში წარდგენილია 2016 წლის 31 მარტს და განაცხადის პრიორიტეტის თარიღია 2016 წლის 31 მარტი. იქიდან

გამომდინარე, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „iTechnic აიტექნიკი“ (საიდ. N86512/03) საქპატენტში სარეგისტრაციოდ წარდგენილია უფრო ადრინდელი თარიღით და სარგებლობს უფრო ადრინდელი პრიორიტეტით, შესაბამისად არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „აიპლუსი“-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 04 აპრილის N743/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

მ. ჭიჭინაძე